

ხელოვნების ცნობილი მოღვაწეები

სახვითი ხელოვნება

შინაარსი

სტატიები

სიმბოლიზმი	1
გუსტავ კლიმტი	5
მიხეილ ვრუბელი	9
ედვარდ მუნკი	11
უილიამ ბლეიკი	12
იმპრესიონიზმი	13
კლოდ მონე	16
ვინსენტ ვან გოგი	20
პაბლო პიკასო	22

და ვინჩი და მონა ლიზა

ლეონარდო და ვინჩი	25
მონა ლიზა	28

მინიშნებები

სტატიის წყაროები და ავტორები	31
Image Sources, Licenses and Contributors	32

ლიცენზიის სტატია

ლიცენზია	34
----------	----

სიმბოლიზმი

სიმბოლიზმი (ფრანგ. symbolisme), მიმდინარეობა დასავლეთ ევროპის ლიტერატურასა და ხელოვნებაში

XIX საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის

დასაწყისში (საფრანგეთში — შარლ ბოდლერი,

არტურ რემბო, პოლ ვერლენი, სტეფან მალარმე და სხვა. ბელგიაში — ემილ ვერჰარნი, მორის

მეტერლინკი. გერმანიაში — გერჰარტ ჰაუპტმანი, შტეფან გეორგე; ინგლისში — ოსკარ უაილდი,

ელჯერონ ჩარლზ სუინბერნი; ავსტრიაში — რაინერ მარია რილკე; რუსეთში — ალექსანდრე ბლოკი, კონსტანტინე ბალმონტი, ვალერი ბრიუსოვი).

სიმბოლიზმი ერთგვარი რეაქცია იყო პარნასელთა პოეზიაზე. მისთვის დამახასიათებელია კონკრეტული სახის შეცვლა სიმბოლოთი, ირეალური სინამდვილის ძიება, კამერულობა, მაქსიმალური ზრუნვა სიტყვაზე, მუსიკალობის შექმნაზე. სიმბოლიზმი იყო

სინამდვილისადმი ოპოზიციის გამოხატვა. მისმა

საუკეთესო წარმომადგენლებმა დიდი ამაგი დასდეს ლირიკული აზროვნების განვითარებას.

საქართველოში სიმბოლიზმი ლიტერატურაში

ჩამოყალიბდა XX საუკუნის 10-იან წლებში. 1915 წელს ქუთაისში შეიქმნა სიმბოლისტთა ჯგუფი, რომელმაც 1916 წელს გამოსცა ჟურნალი „ცისფერი ყანწები“,

„მესაფლავის სიკვდილი“, კარლოს შვაბი, სიმბოლისტური მოტივების ვიზუალური გამოხატულებაა. სიკვდილისა და ანგელოზთა პერსონიფიკაცია, ქათქათა თოვლი და სახეთა დრამატული პოეზიები — ყოველივე ეს გამოხატავს

„ცისფერყანწელების“ ჯგუფში შედიოდნენ პაოლო იაშვილი, ტიცინ ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, გიორგი ლეონიძე, სანდრო ცირეკიძე, კოლაუ ნადირაძე და სხვა. ქართველი სიმბოლისტები ცდილობდნენ პოეტური ფორმის გადახალისებას, გამომსახველობით საშუალებათა გამდიდრებას, ამასთან კლასიკური მემკვიდრეობის გამოყენებასაც. 1925 წლის შემდეგ ქართული სიმბოლისტური სკოლა დაიშალა.


სიმბოლისტურ მისწრაფებას ტრანსფიგურაციისკენ „სადმე, ამ სამყაროს იქით“.

წინაპირობა

ფრანგული სიმბოლიზმი უმეტესწილად რეაქცია იყო ნატურალიზმისა და რეალიზმის წინააღმდეგ, რომელთა მიმდევრები ცდილობდნენ რეალობის ასახვას მისი პირდაპირი მნიშვნელობით. ამ პირდაპირმა თითქმის სანიტარულმა მიმდინარეობებმა გამოიწვია რეაქცია სპირიტუალობის, გამოგონილისა თუ ოცნებების წარმოსახვისკენ, რამაც დასაბამი მისცა სიმბოლიზმის აღმოცენებას. ზოგი ავტორი, როგორცაა იორის-კარლ ჰუიზმანსი, შემოქმედებას იწყებს როგორც ნატურალისტი, თუმცა შემდგომში სიმბოლიზმისკენ იხრება;

ჰუიზმანსში ეს ცვლილება გამოიხატა მის გამოცოცხლებულ ინტერესში რელიგიასა და სპირიტუალობისადმი.

სიმბოლისტურ მოძრაობას ლიტერატურაში ფესვები შარლ ბოდლერის პოემათა კრებულში „Les Fleurs du Mal“ (ზოროტუბის ყვავილები) აქვს. სიმბოლიზმის ესთეტიკა განავითარეს სტეფან მალარმემ და პოლ ვერლანმა 1860-70-იან წლებში. 1880-იანებში ეს ესთეტიკა გამოიხატა ერთგვარ მანიფესტა სერიაში და მან მწერალთა მთელი თაობის ყურადღება მიიპყრო. ედგარ ალან პოს ნამუშევრები, რომლებიც ბოდლერმა ფრანგულად თარგმნა, დიდ გავლენას ახდენს მოლონად ამ მიმდინარეობაზე და მნიშვნელოვანი წყარო ხდება მრავალი



ტროპისა და პერსონაჟის შექმნაში.

ლიტერატურაში სიმბოლისტური მიმდინარეობისგან განსხვავებით, სიმბოლიზმი ხელოვნებაში წარმოადგენს რომანტიციზმის გაცილებით უფრო გოთური და ბნელი ექსპრესიიდან გადახრას; თუმცა სადაც რომანტიციზმი იმპულსური და მემბოხე სულის გამოხატვა იყო, სიმბოლისტური ხელოვნება უფრო სტატიკური და რელიგიური გახდა.

სიმბოლიზმი თეატრში

სიმბოლისტური თეატრის შექმნის იდეა გამომდინარეობს სცენაზე ხელოვნების ყველა დარგის ორგანული შერწყმის ნეორომანტიკული კონცეფციიდან. თეატრალურ წარმოდგენაში სიტყვის, ფერისა და მუსიკის შეხამებას მაყურებელზე უნდა მოეხდინა ისეთივე ზემოქმედება, როგორსაც მოახდენდა მუსიკა; ე. ი. უნდა შექმნილიყო სახეები, რომლებიც კონკრეტულ აზრობრივ გაშიფვრას არ დაექვემდებარებოდა. სიმბოლისტური თეატრის შექმნას XIX საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისში ხელი შეუწყო:

- სპეციფიურმა დრამატურგიულმა მასალამ (მეტერლინკის, ვერჰარნის, ჰოფმანის, მოგვიანებით იბსენისა და სხვა ნაწარმოებები), რომლებიც სცენაზე ადეკვატურ ხორცშესხმას მოითხოვდა.
- სიმბოლისტმა რეჟისორებმა, რომლებმაც უარყვეს რეალისტური თეატრის ტრადიციები და დრამატურგიას, როგორც სპექტაკლის იდეურ საფუძველს, დაუპირისპირეს რეჟისორისა და მხატვრის დიქტატი; ისინი ცდილობდნენ დაემკვიდრებინათ სცენაზე „პირობითი თეატრის“ იდეა („მოქმედება-სიმბოლო“), განეხორციელებინათ „მარიონეტების თეატრის“ პრინციპები.
- პლასტიკური ხელოვნების (ძირითადად ფერწერა) მოძალებამ თეატრში, დასავლეთ ევროპაში სიმბოლიზმმა თავი იჩინა პარიზის სასტუდიო თეატრებში.

სიმბოლიზმი XIX—XX საუკუნეების მიჯნის მხატვრული კულტურის რთული მოვლენაა. მისი გავლენა განიცადა ბევრმა მხატვრულმა მიმდინარეობამ (ექსპრესიონიზმი, სიურრეალიზმი, ნაწილობრივ ფუტურიზმი და სხვა) ქართულ დრამატურგიასა და თეატრში სიმბოლიზმი თავს იჩენს XX საუკუნის პირველ ათეულ წლებში. იგი წარმოდგენილია პიესებით: სანდრო შანშიაშვილის „შვების თავადი“ (1908—1911), „მეფე-მგოსანი“ (1912); სანდრო ცირეკიძე „პირიმზე“ (1918), პოლიკარპე კაკაბაძის „სამი ასული“ (1919). ამ პიესებში შეიმჩნევა ის წინააღმდეგობანი, რაც საერთოდ დამახასიათებელია სიმბოლისტური მწერლობისათვის: რეალისტური ხელოვნების ტრადიციებისაგან ირაციონალობისა და მისტიკურობისაკენ გადახრა, თანამედროვე

სინამდვილისადმი პროტესტი, უსამართლობის სასტიკი მხილება ახალი მხატვრული გამომსახველობითი საშუალებების მეოხებით. ქართველი რეჟისორების მიერ დადგმული სიმბოლისტური პიესებიდან

აღსანიშნავია: მორის მეტერლინკის „მარიამ მაგდალინელი“ (სპექტაკლის რეჟისორი იყო ლადო

ალექსი-მესხიშვილი, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ დაამთავრა შ. ბერიშვილმა, 1921), ოსკარ უაილდის „სალომე“ (რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი, 1922), სანდრო შანშიაშვილის „ბერდო-ზმანია“ (რეჟისორი სანდრო ახმეტელი, 1920) და სხვ.

სიმბოლიზმი სახვით ხელოვნებაში

სახვით ხელოვნებაში სიმბოლიზმს არ გააჩნდა ჩამოყალიბებული სახე. მის წარმომადგენლებს არ აერთიანებდათ არც საერთო თეორიული პროგრამა, არც სტილური ნიშნები. საწყის ეტაპზე სიმბოლიზმს სახვით ხელოვნებაში ჰქონდა ტენდენცია ნაწარმოების სიუჟეტი დაეტვირთა რამდენიმე მნიშვნელობით, ალეგორიებითა და მისტიური სიმბოლოებით. ამან გამოიწვია ინტერესის გაცხოველება ძველ რელიგიებისადმი; ბიბლიური, ძველ აღმოსავლეთის, ანტიკური ლეგენდებისადმი. უფრო სხვაგვარად ესმოდათ სიმბოლიზმი სახვით ხელოვნებაში ე. წ. პონტა-ვენის სკოლის წარმომადგენლებს. ამ ეტაპზე სიმბოლოურ დატვირთვას ღებულობდა არა ნაწარმოების სიუჟეტი, არამედ თვით მხატვრული გამომსახველობითი საშუალებანი — ფერი, ხაზი, მონასმი,

კომპოზიციური აგების რიტმი. ამგვარი გაგება სიმბოლიზმისა მხატვრობაში გაგრძელდა XX საუკუნეშიც, „მოდერნის“

ხელოვნებაშიც, ფორმის აქტიურ გასულიერების ცდებში.

სიმბოლიზმის მნიშვნელოვანი წარმომადგენლები იყვნენ XX

რუს სიმბოლისტთა შორის იყო მიხაილ ვრუბელი (1856—1910).

საუკუნეში ფ. ფონ შტუკი, მ. კლინგერი — გერმანიაში, ფ. კნოპფი — ბელგიაში, ო. ბერდული — ინგლისში, ჩიურლიონისი —

ლიტვაში და სხვა. რუსეთში სიმბოლიზმის ნიშნები გამოვლინდა „მირ ისკუსტვას“ ხელოვნებაში, რერიხის, ბორისოვ-მუსატოვის, ვრუბელის ნაწარმოებებში, თუმცა არც ერთი მათგანი არ იყო სიმბოლისტი.

ქართულ სახვით ხელოვნებაში სიმბოლიზმი არ ჩამოყალიბებულა თავისთავადი მიმართულების სახით და არც მიმდევრები ჰყოლია, მხოლოდ რამდენიმე მხატვრის ცალკეულ ნაწარმოებებში შეიმჩნევა მიმართულებისათვის დამახასიათებელი ნიშნები (შ. ქიქოძე „დაღუპული მეგობრის მოსაგონრად“, 1921, საქართველოს ხელოვნების მუზეუმი, თბილისი).

სიმბოლისტები

წინამორბედები

- ბოდლერი, შარლ (1821-67)
- ისიდორ დიუკასი, გრაფი ლოტრემონი (1846-70)
- ნერვალი, ჟერარ დე (1808-55)

მწერლები

- ვილიე დე ლ'ილ-ადამი, მათიას (1838-89)
- მალარმე, სტეფან (1842-98)
- ვერლენი, პოლ (1844-96)
- რემბო, ართურ (1854-91)
- როდენზახი, ჟორჟ (1855-98)
- ვერჰარნი, ემილ (1855—1916)
- მორე, ჟან (1856—1910)
- სამენი, ალბერ (1858—1900)

- გურმონი, რემი დე (1858—1915)
 - კანი, გუსტავ (1859—1936)
-



- ჟირო, ალბერ (1860—1929)
- ლაფორგი, ჟიულ (1860-87)
- ადამი, პოლ (1862—1920)
- მეტერლინკი, მორის (1862—1949)
- მერილი, სტიუარტ (1863—1915)
- რეტტე, ადოლფ (1863—1930)
- ვილე-გრიფინი, ფრანსუა (1863—1937)
- რენიე, ანრი დე (1864—1936)
- მოკელი, ალბერ (1866—1945)
- ვალერი, პოლ (1871—1945)
- ვივიანი, რენე (1877—1909)
- ნელიგანი, ემილ (1879—1941)
- ბელი, ანდრეი (1880—1934)

გავლენა ინგლისურ ლიტერატურაში

ინგლისურენოვანი ავტორები, რომელთაც სიმბოლიზმზე გავლენა მოახდინეს ან თავად განიცადეს:

- პო, ედგარ ალან (1809-49)
- ბლეიკი, უილიამ (1757—1827)
- როსეტი, დანტე გაბრიელ (1828-82)
- სუინბერნი, ალჯერნონ ჩარლზ (1837—1909)
- უალდი, ოსკარ (1854—1900)
- სიმონსი, ართურ (1865—1945)
- გრეი, ჯონ (1866—1934)
- დოუსონი, ერნესტ (1867—1900)
- სტენბოკი, ერიკ (1860-95)
- ელიოტი, თომაზ სტერნ (1888—1965)
- იიტსი, უილიამ ბატლერ (1865—1939)
- სტივენსი, უოლეს (1879—1955)
- პაუნდი, ეზრა (1885—1972)
- ეიკენი, კონრად (1889—1973)
- სმიტი, კლარკ ეშტონ (1893—1961)
- კრეინი, ჰარტ (1899—1932)

მხატვრები

- ბლეიკი, უილიამ — (1757—1827)
- უოტსი, ჯორჯ ფრედერიკ — (1817—1904)
- ბეკლინი, არნოლდ — (1827—1901)
- შავანი, პიერ პიუვის დე — (1824—1898)
- ფანტენ-ლატური, ანრი (1836—1904)
- კნოპფი, ფერნანდ — (1858—1921)
- კლიმტი, გუსტავ — (1862—1918)
- მორო, გუსტავ — (1826—1898)
- მუნკი, ედვარდ — (1863—1944)
- რედონი, ოდილონ — (1840—1916)
- როფსი, ფელისიენ — (1855—1898)
- ტოროპი, იან — (1858—1928)
- ვრუბელი, მიხეილ (1856—1910)

რესურსები ინტერნეტში

· სიმბოლოზმის მანიფესტი [1], ჟან მორეასის მიერ (ფრანგ.).



მინიშნებები

[1] <http://www.poetes.com/moreas/manifeste.htm>

გუსტავ კლიმტი

გუსტავ კლიმტი (Gustav Klimt) (დ. 14 ივლისი, 1862 – გ. 6 თებერვალი, 1918) — ავსტრიელი

სიმბოლისტი მხატვარი და ვენის არტ-ნუვო (ასევე მოდერნი, სეცესიონ) მოძრაობის წევრი. მის მთავარ ნამუშევრებს შორისაა ფერწერული ტილოები, ფრესკები, სკეტჩები და სხვა ხელოვნების ნიმუშები, რომელთა უმრავლესობა გამოფენილია ვენის სეცესიონ-გალერეაში. კლიმტის მთავარი სუბიექტი ქალის სხეული იყო და მის ნამუშევრებში ხაზგასმულია გულწრფელი ეროტიზმი. მისი

გრაფიკული ნამუშევრები (რომლებიც მან დიდი რაოდენობით შექმნა), საყოველთაოდ მიიჩნევა მის უდიდეს დანატოვრად.



"კოცნა" (1907-8)

ცხოვრება და მოღვაწეობა

გუსტავ კლიმტი დაიბადა ბაუმგარტენში, ვენასთან, ავსტრია, და ოჯახში შვიდი შვილიდან მეორე იყო. მამამისი ერნსტ კლიმტი მხატვარი-გრაფიკოსი და იუველირი იყო.

1879-83 წლებში ვენის სამხატვრო-სახელოსნო სკოლაში სწავლობდა (Kunstgewerbeschule), სადაც

არქიტექტურული დეკორატორის განათლება მიიღო. პროფესიული კარიერა ინტერიერის მიურალების ხატვით დაიწყო რინგმუტრასეზე საზოგადოებრივ შენობებში. შემდეგ ავსტრო-უნგრეთის პროვინციების თეატრების კედლებს ხატავს. უკვე 1880 წელს იღებს სერიუზოულ შეკვეთას — „ოთხი ალეგორია“. 1885-86 წლებში ძმასთან და ახალგაზრდა მხატვარ ფრანც მატთან ერთად აფორმებს ვენის ბურგთეატრსა და სამხატვრო-ისტორიულ მუზეუმს. ბურგთეატრზე მუშაობის დასრულების შემდეგ იმპერატორი ფრანც იოსიფი კლიმტს ოქროს ჯვრით აჯილდოებს ხელოვნებაში დამსახურების გამო.

რჩეული ნამუშევრები

- ვენის უნივერსიტეტი, ფესტუალის ჭერის მოხატულობა
- სტოკლეს სასახლის მოზაიკა ბრიუსელში
- Fable (1883)
- ტაორმინას თეატრი (1886-1888)
- ძველი ბურგთეატრის აუდიტორია, ვენა (1888)
- იოზეფ პემზაუერის პორტრეტი, პიანისტი-მასწავლებელი (1890)
- ძველი საბერძნეთი II (გოგონა ტანაგრადან) (1890 - 1891)
- ქალის პორტრეტი (ფრაუ ჰეიმანი?) (1894)
- მუსიკა I (1895)
- სკულპტურა (1896)
- ტრაგედია (1897)
- მუსიკა II (1898)
- ათენის სასახლე (1898)
- სონია კიპსის პორტრეტი (1898)
- თევზის სისხლი (1898)
- მოძრავი წყალი (1898)
- შუბერტი როიალთან (1899)
- წვიმის შემდეგ (ბალი წიწილებით სენტ-აგათაში) (1899)
- ნიმფები (ვერცხლის თევზი) (1899)
- ფილოსოფია (1899–1907)
- Nuda Veritas (1899)
- სერენა ლედერერის პორტრეტი (1899)
- მედიცინა (1900–1907)
- მუსიკა (ლიტოგრაფია) (1901)
- *იუდიო I* (1901)
- *ბუხენვალდი* (Birkenwald) (1901)
- ოქროს თევზი (ჩემს კრიტიკოსებს) (1901–1902)
- გერტა ფელსოვანის პორტრეტი (1902)
- ემილი ფლოჟეს პორტრეტი (1902)
- Beach Forest (1902)
- Beach Forest I (1902)
- Beethoven Frieze (1902) [1] [2]
- მოლოდინი (1903)
- მსხლის ხე (1903)
- იურისპრუდენცია (1903–1907)
- წყლის გველები I (1904–1907)
- წყლის გველები II (1904–1907)
- ქალის სამი ასაკი (1905)
- მარგარეტ სტონზორო-ვიტგენსტაინის პორტრეტი (1905)
- ბაღა (1905–1906)
- ბაღა მზესუმზირებით (1905-1906)
- Stoclet Frieze (1905-1909)
- *ფრიცა რაიდლერის პორტრეტი* (1906)
- მზესუმზირა (1906-1907)



იუდიო I, 1901



ვენის უნივერსიტეტი, ფესტუალის ჭერის მოხატულობის ფრაგმენტი.

- მოლოდინი II (1907-1908)
- დანაე (1907)
- ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი (1907)
- ყაყაჩოს ველი (1907)
- კამერის სასახლე ატერსეზე I (1908)
- კოცნა (1907 - 1908)
- ქალი შლიაპიტა და ბუმბულის მარათი (1909)
- იუდიტ II (სალომე) (1909)
- შავი ბუმბულის ქუდი (1910)
- კამერის სასახლე ატერსეზე III (1910)
- ბაღა ჯვარცმით (1911-1912)
- ვაშლის ხე (1912)
- Forester's House, Weissenbach on Lake Attersee (1912)
- Portrait of Mada Primavesi (1912)
- ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი II (1912)
- ქალწულები (1913)
- ეკლესია კასონეში (1913)
- Semi-nude seated, reclining (1913)
- Semi-nude seated, with closed eyes (1913)
- Portrait of Eugenia Primavesi (1913-1914)
- Lovers, drawn from the right (1914)
- Portrait of Elisabeth Bachofen-Echt (1914)

- Semi-nude lying, drawn from the right (1914-1915)
- Portrait of Friederike Maria Beer (1916)
- Houses in Unterach on the Attersee (1916) [3]

- სიკვდილი და სიცოცხლე (1916)
- ბალის ბილიკი წიწილებით (1916)
- დაქალები (1916-1917)
- Woman seated with thighs apart, drawing (1916-1917)
- მოცეკვავე (1916 - 1918)
- ლედა (განადგურდა) (1917)
- Portrait of a Lady, en face (1917-1918)
- პატარბალი (დაუმთავრებელი) (1917-1918)
- ადამი და ევა (დაუმთავრებელი) (1917-1918)
- იოჰანა შტაუდის პორტრეტი (დაუმთავრებელი) (1917-1918)



მარგარეტ სკონლანკ-ვიტენშტაინი, 1905

გალერეა ქალები



ათენის სასახლე (1898)



იუდიო II
(1901)



ოქროს
თევზები
(1901—02)



მოლოდინი(1903)



გველოთეზები
I (1904—07)



გველოთეზები II (1904—07)



ქალის სამი ასაკი
(1905)



მოლოდინი(1907—08)



დანაე (1907—08)



უბიწობა(1913)



დაქალები(1916—17)



ადამი და
ევა (1917)

რესურსები ინტერნეტში

- გუსტავ კლიმტის ასოციაცია [4] - კლიმტის ბოლო სტუდია (1912-18).
- ვებმუზეუმის კლიმტის გვერდი. [5]



ავსტრიის პორტალი – დაათვალიერეთ სტატიები ავსტრიის შესახებ.

მინიშნებები

- [1] <http://www.ibiblio.org/wm/paint/auth/klimt/klimt.beethoven-frieze1.jpg>
- [2] <http://www.ibiblio.org/wm/paint/auth/klimt/klimt.beethoven-frieze2.jpg>
- [3] <http://www.adele.at/Page10343/Page10364/page10364.html>
- [4] <http://www.klimt.at/>
- [5] <http://www.ibiblio.org/wm/paint/auth/klimt/>

მიხეილ ვრუბელი

მიხაილ ვრუბელი (რუს.: Михаил Александрович Врубель) (დ. 5 მარტი/17 მარტი, 1856, ომსკი — გ. 1 აპრილი/14 აპრილი, 1910, პეტერბურგი) — საყოველთაოდ აღიარებულია, როგორც

არტ-ნუვოს მიმდინარეობის უდიდესი რუსი მხატვარი. სინამდვილეში, ის განზრახ განუდგა მის თანამედროვე ხელოვნების მიმდინარეობებს და მისი უჩვეულო მანერის წყაროები უნდა ვეძიოთ გვიანდელი ბიზანტიური და ადრეული რენესანსის მხატვრობაში.




ავტოპორტრეტი, 1885


ნამუშევრები



ჰამლეტი და ოფელია 1883



მარიამი ყრმით 1884



მოსე 1884



ანგელოზი

თასითა და
სანთლით 1887



ყვავილები ლურჯ
ლარნაკში 1887



დემონი ჩამომჯდარი ზაღში
1890



მკითხავი
1895



ფაუსტისა და
მეფისტოს

გადაფრენა
1896



ბოგატირი 1898



ვრუბელის

მეულლე 1898



პანი. 1899



ლილია 1900



ნადეჟდა
ალექსანდროვნა

საბელა-ვრუბელი
1900



გედი-პრინცესა
1900



მარგალიტის ნიჟარა 1904



ექეს-ფრთიანი სერაფიმი.
1904



ექეს-ფრთიანი სერაფიმი,
პუშკინის პოემის მიხედვით,
1905



ვალერი
ბრიუსოვის
პორტრეტი.
1906

ედვარდ მუნკი

ედვარდ მუნკი (Edvard Munch) (დ. 12 დეკემბერი, 1863, ლეტენი — გ. 23 იანვარი, 1944, ეკელი, ოსლოს მახლობლად), ნორვეგიელი მხატვარი და გრაფიკოსი. დიდი გავლენა იქონია გერმანულ და ზოგადად ცენტრალური ევროპის ექსპრესიონიზმზე. მუნკის ყველაზე ცნობილი ნამუშევრებია: „ყვირილი“, „ავადმყოფი ბავშვი“, „მადონა“, „ვამპირი“.

ბიოგრაფია

მუნკი აღიზარდა ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში. მამამისი, ქრისტიან მუნკი- ისტორიკოს პეტერ ანდრეას მუნკის ძმა- იყო ღრმად მორწმუნე სამხედრო ექიმი მოკრძალებული შემოსავლით. 44 წლის ასაკში იქორწინა ვაჭრის ქალიშვილზე, რომელიც მასზე 20 წლით უმცროსი იყო და რომელიც 33 წლის ასაკში ტუბერკულოზით გარდაიცვალა. ედვარდი ამ დროს 5 წლის იყო. თავად ედვარდსაც სუსტი ჯანმრთელობა ჰქონდა. მისი უფროსი და სოფიაც ტუბერკულოზის მსხვერპლი გახდა. ედვარდის უმცროსი და ლაურა კი "მელანქოლიის" (დღეს დეპრესიის) გამო მკურნალობდა. 5 და-ძმისგან მხოლოდ ედვარდის ძმა ანდრეასმა იქორწინა. იგი ქორწინებიდან რამდენიმე თვეში გარდაიცვალა.

შემოქმედება

მუნკის ყველაზე ცნობილი ნამუშევარია "კვილი", უფრო ზუსტად, ესაა მსგავსი ნახატების სერია. თავდაპირველად ტილოს „სასოწარკვეთილება“ ერქვა. ამ სურათზე გამოსახული საშინელების სახე, რომელსაც მუნკი მთელი ცხოვრება ჰქმნიდა, დღესდღეობით კონცეპტუალური ხელოვნების სიმბოლოა.

მუზეუმი

ოსლოში მდებარე ნაციონალური გალერეიდან 2004 წლის 22 აგვისტოს შეიარაღებულმა პირებმა მუნკის ორი ცნობილი ტილო „კვილი“ და „მადონა“ გაიტაცეს. 2006 წლის მაისში ძარცვაში სამ ბრალდებულს სასამართლომ თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. იმავე წლის აგვისტოში პოლიციამ ნამუშევრების პოვნა მოახერხა. მთელი ეს პერიოდი ორივე ტილო დაზიანდა: ნახატებზე ნაკაწრები და სინესტე იქნა აღმოჩენილი; ტილოები ალაგ-ალაგ დაიხია კიდეც.

მუზეუმის წარმომადგენლის განაცხადებით, „კვილის“ კუთხეში გაჩენილი ლაქის მოშორება შეუძლებელია, რადგან რესტავრატორებმა რაიმე შეუქცევადი სამუშაოს ჩატარება არ ისურვეს.

მუნკის საპატივსაცემოდ მერკურიზე ერთ-ერთ კრატერს მისი სახელი ეწოდა.

რესურსები ინტერნეტში

- ედვარდ მუნკითვის მიძღვნილი ვებ-გვერდი. [1]
- ედვარდ მუნკის ცხოვრება, შემოქმედება [2]

მინიშნებები

[1] <http://www.edvard-munch.com/index1.htm>

[2] <http://burusi.wordpress.com/მხატვრის-თვალი/ედვარდ-მუნკი/>

უილიამ ბლეიკი



უილიამ ბლეიკი	
დაბადების თარიღი	28 ნოემბერი, 1757
დაბადების ადგილი	ლონდონი
გარდაცვალების თარიღი	12 აგვისტო, 1827
გარდაცვალების ადგილი	ლონდონი
საქმიანობა	პოეტი, მხატვარი და ლითოგრაფი

უილიამ ბლეიკი — (დ. 28 ნოემბერი, 1757, ლონდონი — გ. 12 აგვისტო, 1827, იქვე) – ინგლისელი პოეტი, მხატვარი და ლითოგრაფი. მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლეში თითქმის შეუმჩნეველი იყო, ბლეიკის ნამუშევრები, შესრულებული მის მეუღლე ქეთრინთან ერთად, ამჟამად საყოველთაოდ არის ცნობილი. ზოგიერთი ხელოვნებათმცოდნის აზრით "ბლეიკი ერთ-ერთი ყველაზე გენიალური ხელოვანია, რომელიც ბრიტანეთს ოდესმე აღუზრდია".

შემოქმედება

- სამოთხისა და ჯოჯოხეთის ქორწინება

ლიტერატურა

- Peter Ackroyd (1995). *Blake*. Sinclair-Stevenson. ISBN 1-85619-278-4.
- Donald Ault (1974). *Visionary Physics: Blake's Response to Newton*. University of Chicago. ISBN 0-226-03225-6.

რესურსები ინტერნეტში

- Tate's online resource on William Blake [1]
- Friends of William Blake [2]
- Blake Society [3]
- "William Blake and Visual Culture" from the *ImageText* journal [4]
- Connected Histories: British History Sources, 1500-1900 [5]

მინიშნებები

[1] <http://www.tate.org.uk/learning/worksinfocus/blake/>

[2] <http://www.friendsofblake.org/>

[3] <http://www.blakesociety.org/>

[4] http://www.english.ufl.edu/imagetext/archives/v3_2

[5] http://www.connectedhistories.org/Search_results.aspx?dtf=1500-01-01&dt=1899-12-31&rs=william+blake

იმპრესიონიზმი

იმპრესიონიზმი (ფრანგ. impressionisme, Impression - შთაბეჭდილება),

მიმდინარეობა მხატვრობაში, ჩაისახა და განვითარდა საფრანგეთში. 1874-1886 წლებში პარიზში შვიდი იმპრესიონისტული გამოფენა მოეწყო, რაც გახდა აკადემიზმისგან თანამედროვე ხელოვნების გამყოფი ზღვარი. იმპრესიონიზმს ზოგადი ტენდენციაა წარმავალი შთაბეჭდილების, მოვლენათა ცვლის და არა საგანთა სტაბილური და კონცეპტუალური მხარის ასახვა.

წარმოშობა

იმპრესიონიზმის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მონე. ამ მიმდინარეობამ სახელწოდება მიიღო სწორედ მისი ნახატისგან -

შთაბეჭდილება, მზის ამოსვლა (Impression, soleil levant).

XIX საუკუნეში ღრმავდება და სრულდება ფერწერისა და გრაფიკის გამიჯვნის პროცესი, რომლის ნიშნები ადრევე შეიმჩნეოდა გრაფიკის სპეციფიკა - ხაზები შეფერილობაშია. ის გამოსახავს ფორმებს, გადმოსცემს მათ განათებულობას, სინათლისა და ჩრდილის შეფერადებას და ა.შ. ფერწერა აღბეჭდავს სამყაროს ფერთა რეალურ ურთიერთმიმართებას, ფერში და ფერის საშუალებით ის გამოხატავს საგნების არსს, მათ ესთეტიკურ ღირებულებას, გარემოსადმი მათ შესაბამისობას ან შეუსაბამობას. გრაფიკისაგან პრინციპული განსხვავება ნათლად ჩანს იმპრესიონისტების ფერწერაში. იგი არაფერს გადმოსცემს ფერის გარეშე. ფერწერამ აითვისა სინათლე. ის გამოსახავს სინათლის, ბინდის, ნისლის ფერს. კლოდ მონეს სურათებში, რომლებშიც ლონდონის ნისლია გამოსახული, დაჭერილი და აღბეჭდილია სინათლის უმცირესი ცვალებადობა. თანამედროვე ფერწერაში - ამბობს პაბლო პიკასო ფუნჯის თითოეული მოსმის ზუსტ ოპერაციად იქცა, რომელიც მესაათის მოქმედებას ჰგავს.



მეთოდი

იმპრესიონისტი მხატვრები თავიანთი ნაწარმოებებისთვის სიუჟეტებს თანამედროვე,

ყოველდღიურ

ცხოვრებაში ეძებდნენ. რეალობას ისინი საკუთარი, პირადი ხედვის მიხედვით აძლევდნენ ინტერპრეტაციას. უმეტეს შემთხვევაში იმპრესიონისტები სუფთა ჰაერზე, ბუნებაში ხატავდნენ, სინათლე მათთვის ნახატის ძირითადი ელემენტი იყო. ისინი უარს ამბობდნენ ბნელ ფერებზე, იყენებდნენ ნათელ, წმინდა ფერებს და ცალკეულ ფენებად დებდნენ ტილოზე.

იმპრესიონისტების ტილოები ცვალებად ბუნებას, წამიერ სილამაზეს გადმოსცემენ. ისინი არ ეძებენ იდეალურ სილამაზეს, მარადიულობას, რაც კლასიკურ ხელოვნებაში მთავარი იყო.

იმპრესიონისტები

- ბაზილი, ფრედერიკ
- კაიბოტი, გუსტავ
- კასათი, მარი
- სეზანი, პოლ
- დეგა, ედგარ
- გიომენი, არმან
- მანე, ედუარ
- მონე, კლოდ
- მორიზო, ბერტა
- პისარო, კამილ
- რენუარი, პიერ-ოგიუსტ
- სისლეი, ალფრედ
- დებიუსი, კლოდ
- ვან გოგი, ვინსენტ
- პიკასო, პაბლო
- მოდილიანი, ამადეო

გალერეა



რესურსები ინტერნეტში

- იმპრესიონიზმის განვითარება ნორმანდიაში [1]
- იმპრესიონისტული მიმდინარეობა და მისი წარმომადგენლები [2]
- იმპრესიონიზმი Wikimedia Commons-ზე [3]

მინიშნებები

[1] <http://www.seine-maritime-tourisme.com/impressionnistes/index.html>

[2] <http://www.impressionniste.net/>

[3] <http://commons.wikimedia.org/wiki/Category:Impressionism>

კლოდ მონე

კლოდ მონე	
კლოდ მონე, ნადარის ფოტოსურათი, 1899	
სრული სახელი:	კლოდ ოსკარ მონე
დაიბადა:	14 ნოემბერი, 1840 პარიზი, საფრანგეთი
გარდაიცვალა:	5 დეკემბერი, 1926 ჟივერნი, საფრანგეთი
ეროვნება:	ფრანგი
სფერო:	ფერწერა
მიმდინარეობა:	იმპრესიონიზმი
ცნობილი ნამუშევრები:	შთაბეჭდილება, მზის ამოსვლა, სერიაზი „რუანის ტაძრის ხედები“, სერიები „ლონდონის პარლამენტი“, სერიები „თივის ზვინები“, სერიები „გუბურები დუმფარებით“

კლოდ მონე (ფრანგ. Claude Monet), ასევე ცნობილი როგორც **ოსკარ-კლოდ მონე** ან **კლოდ ოსკარ მონე** (დ. 14 ნოემბერი, 1840, — გ. 5 დეკემბერი, 1926) — ფრანგული იმპრესიონისტული ფეწერის დამფუძნებელი. ტერმინი „იმპრესიონიზმი“ (იმპრესიონ ფრანგულად შთაბეჭდილებას ნიშნავს) ემყარება მის ტილოს „შთაბეჭდილება, მზის ამოსვლა“ (ფრანგ. „Impression, soleil levant“).

ბიოგრაფია

მონე დაიბადა 1840 წლის 14 ნოემბერს, პარიზში და ის ოსკარის სახელით მოუნათლავთ. 1846 წელს მამამისი მთელ ოჯახთან ერთად გადავიდა ჰავრში.

ოსკარი ბავშვობიდანვე კარგად ხატავდა, 17 წლის ასაკში მის კარიკატურებს ეყენ ბუდენი თავის საკანცელარიო ნაწარმთა სავაჭრო ჯიხურში ფენდა. ბუდენმა მაშინვე შეიცნო მომავალი დიდი მხატვარი. მან მონეს შეაგრძნობინა პლენერის მთელი სიდიადე. ბუდენმა ოსკარს გააცნო გუსტავ კურბე, იოკინდი, დობინი, რომელთა რეალისტურმა შემოქმედებამ დიდი გავლენა მოახდინა მასზე. ბუდენმა დაარწმუნა მონე, რომ ფერწერა მისი ჭკუმატიტი მოწოდება იყო. მონეც დარწმუნა ამასში, თუმცა თავიდან მის სურვილს ეწინააღმდეგებოდნენ მშობლები. ბოლოს მონემ დაჯინებული თხოვნით დაითანხმა მშობლები და მათ ის ცოტახნით პარიზში, მხატვრულ სამყაროსთან გასაცნობად, გაუშვეს. მაგრამ პარიზმა ის დიდი ხნით დაიტოვა. პირობის დარღვევის გამო მამამისმა შუწყვიტა ფინანსური დახმარება და მონე იძულებული გახდა მამიდის მიერ შემოთავაზებულ მწირე დახმარებას დასაჯერებოდა. ახალი დამოუკიდებელი ცხოვრების აღსანიშნად, მონემ ნათლობის სახელი, ოსკარი უარყო და კლოდი დაირქვა.

1860 წელს მონემ ალჟირში სამხედრო სამსახური მოიხადა. მსახურობის პერიოდში ის აკეთებდა პატარა ჩანახატებს. ხოლო სამხედრო მსახურობის მოხდის თანავე ის იწყებს პლენერზე, ბუდენის წრის მხატვრებთან ერთად, მუშაობას. 1862 წელს ბუდენის სარეკომენდაციო წერილის წყალობით მონე სუისის აკადემიაში მოეწყო. იქ მან გაიცნო კამილ პისარო და პოლ სეზანი. პისარო და მონე დაუკავშირდნენ მხატვართა და მწერალთა თავშეყრის ადგილებს, სისტემატიურად დადიოდნენ ლუვრში, სამატვრო გალერეაში.



საუზმე მდელოზე (მარჯვენა ნაწილი),

1865—1866

ამავე 1862 წელს მონე მოეწყო გრელის სახელოსნოში, პარიზში, სადაც დაუმეგობრდა ფრედერიკ ბაზილს, ოგიუსტ რენუარსა და ალფრედ სისლიეს. აქ მან გამოხატა პირველი პროტესტი

შაბლონური აკადემიური სწავლების მიმართ. 1864 წელს გლეირის სახელოსნო დაიხურა კიდეც. მონე მეგობრებთან ერთად

ბარბიზონის მახლობლად, სოფელ შაიოში დადიოდა პლენერზე ეწუდების საწერად. შაიოშივე თავიდან ბოლომდე პლენერზე დაამთავრა თავისი პირველი დიდი სურათი „საუზმე მდელოზე“. ამ დიდ ფიგურულ კომპოზიციას ჩვენამდე არ მოუღწევია. ის ჯერ შაიოში იყო დაგირავებული რამდენიმე ხნით, ბინის

მეპატრონესთან, რომლის ქირასაც მონე ვერ იხდიდა. ხოლო როცა მისი გამოსყიდვა შეძლო, ნაწილობრივ კუბეს შენიშვნები და უფრო თვითკრიტიკული დამოკიდებულების გამო, მან სურათი სამ ნაწილად დაჰყო.



ქალი მწვანეში, 1866

1866 წელს სალონში მონემ წარადგინა პორტრეტი „ქალი მწვანეში“ (იგივე „კამილა“), სადაც მონეს მომავალი მეუღლე, კამილა დონისე იყო გამოსახული. ეს სურათი სალონმა მიიღო და მისი სახელი ცნობილი გახდა. ამის შემდეგ კიდეც უფრო გაბედული ხასიათი მიეღო მის ექსპერიმენტებს. მან შექმნა ექსპერიმენტული ხასიათის „სერიები“ ანუ ერთი და იმავე მოტივების უამრავი ფერწერული ვარიაციები.

საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს (1870—1871 წწ.) მონე ცხოვრობს ლონდონში. აქ მან გაიცნო სურათებით მოვაჭრე და დიდი ავტორიტეტი ხელოვნებაში პოლ დურან-რიუელი. მან გადაწყვიტა რამდენიმე ფრანგი ფერმწერის ნიმუშებით დაენტერესებინა ლონდონელები. ამას წარმატება არ მოჰყოლია, პირიქით ტილო რომელზედაც ტემზისა და პარლამენტის შენობა იყო აღწერილი და მონეს ეკუვნოდა აღშფოთება გამოიწვია. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ცა და ნისლი მეწამურ-ვარდისფერი არ არსებობს და სწორედ ეს კრიტიკოსები დარჩნენ სახტად, როდესაც გამოფენის შემდგომ ნისლიც და ცაც ზუსტად ისეთივე მეწამურ-ვარდისფერი იყო, როგორც მონეს სურათზე. ამის შემდეგ მონეს „ლონდონული

ნისლის შემქმნელიც“ კი უწოდეს.

პარიზში დაბრუნების შემდეგ მონე დაუმეგობრდა ედუარდ მანეს. მონეს ძალიან უყვარდა გებუას კაფე, რომელსაც „მანეს აკადემიასაც“ უწოდებდნენ.

1874 წლის 15 აპრილის ცნობილ გამოფენაზე მონე იმპრესიონიზმის სახელით მონათლულ ახალი მოძრაობის თავკაცად აღიარეს. (მზის ამოსვლა, შთაბეჭდილება)



მზის ამოსვლა, შთაბეჭდილება, 1872—1873

ამ პერიოდში მან შექმნა ისეთი შდევრები როგორცაა: „სენ ლაზარის სადგური“ (ამ სადგურის მთელი სერიები) და

„მონტეგრეს ქუჩა“. რაც უფრო მკვეთრად ვლინდებოდა მისი ნოვატორული თვისებები, მით უფრო გარკვეულად მიემართებოდა მისი გზა ოფიციალური სალონიდან განკიცხულთა სალონისკენ. სალონმა უარყო მონეს მიერ შექმნილი ტილო „ქალები ბაღში“. ამ პერიოდში მონეს სურათები თითქმის არ იყიდებოდა, სიდულჭირის გამო მხატვარი მიდის იქ სადაც იოლია ცხოვრება: არჟანში (1873—1878 წწ.), ვეტეიში (1879—1881 წწ.) და შემდეგ პუაში (1882 წ.). ამ პერიოდში მძიმედ დაავადდა მისი ცოლი კამილა.

სიდულჭირის გამო მოუკვდათ მეორე შვილიც. დანარჩენ შვილებზე ზრუნვა ხელში აიღო ალისა გომედემ, რომლის სახლშიც ჰქონდა დაქირავებული ბინა მონეს. შემდგომში ალისა მონემ ცოლად მოიყვანა.

1883 წლიდან მონე ცხოვრობს ჟივერნში. მიუხედავად გაჭირვებისა (რომლის გამო მან თვითმკვლელობაც კი სცადა), მისი მეგობრების დახმარებით, ის მაინც ახერხებს მოგზაურობას საფრანგეთშიც და

საზღვარგარეთაც: ჰოლანდია, ნორვეგია, ინგლისი, ვენეცია.

1880-იანი წლების ბოლოს მონეს სურათებმა კვლავ მიიპყრეს საზოგადოებისა და კრიტიკოსების ყურადღება. აღიარებამ, მხატვარს მოუტანა ეკონომიკური უზრუნველყოფა. ის აშენებს სახლს და სახელოსნოს ჟივერნში, და ასევე შესანიშნავ ბაღს ხელოვნური გუბირებით. ამ პერიოდში მონე ქმნის პეიზაჟების მთელ სერიას, სადაც ამუშავებს სინათლის ეფექტებს. 1890 წელს ის ქმნის სერიას „თვისი ზვინები“, „რუანის ტაძრის ხედები“. მან 14 დეკორატიული პანი შექმნა, რომელიც მიუძღვნა თავის გუბურებს.

მზის მალმერთებელ მონეს სიცოცხლის მიწურულს კატარაქტა დაემართა და თითქმის ვერ ხედავდა. დიდი თხოვნის შედეგად მას ოპერაცია გაუკეთეს. მონეს ფუნჯი არ გაუგდია ხელიდან არც მძიმე მოხუცებულობაში. მისთვის სიცოცხლე არ არსებობდა შრომის გარეშე. 1926 წლის 6 დეკემბერს 86 წლის კლოდ ოსკარ მონე გარდაიცვალა, იგი დაკრძალეს ჟივერნში.




საუზმე მდელოზე, 1865—1866



ქალი ბაღში, 1867



ქალი ქოლგით,
1875



სერიიდან "თვისი ზვინები",
1890—1891



სერიიდან "ალვის
ხეები", 1891



სერიიდან
"რუანის ტაძრის
ხედები",

1892-1894



სერიიდან "იაპონური
ხიდები", 1899



პარლამენტის შენობა,
ლონდონი, 1904



სერიიდან "გუბურები
დუმფარბით", 1916

ვინსენტ ვან გოგი

ვინსენტ ვილემ ვან გოგი (Vincent Willem van Gogh) (დ. 30 მარტი. 1853, გროტ-ზიუნდერტი, ჰოლანდია — გ. 29 ივლისი. 1890, ოვერ-სიურუაზი, საფრანგეთი), ჰოლანდიელი ფერმწერი და

გრაფიკოსი.

ბიოგრაფია

1869-76 სამხატვრო-სავაჭრო ფირმის

კომისიონერად მუშაობდა ჰააგაში, ბრიუსელში,

ლონდონსა და პარიზში, 1876 მასწავლებლობდა ინგლისში. შეისწავლა თეოლოგია და 1878 - 79 მოძღვრად იყო ბორინაჟში (ბელგია), სადაც გაეცნო მადაროელთა მძიმე ცხოვრებას. მშრომელთა

ინტერესების დაცვის ნიადაგზე კონფლიქტი მოუვიდა ეკლესიის მესვეურებთან. 27 წლისამ

გადაწყვიტა ხატვა შეესწავლა. ესწრებოდა ლექციებს ბრიუსელისა (1880 - 81) და ანტვერპენის (1885 - 86) სამხატვრო აკადემიაში. 1881-85 ვან გოგი

გატაცებით ხატავდა ბორინაჟის მადაროელებს, გლეხებს, ხელოსნებს, მეთევზეებს. 30 წლისამ მუშაობა დაიწყო ფერწერაში. უბრალო

ავტობორტრეტი

ადამიანებისადმი ღრმა თანაგრძნობით გამსჭვალულ, მუქ, პირქუშ ტონებში შესრულებულ სურათებსა და ეტიუდების სერიაში ("გლეხის ქალი", 1885, კრელერ-მიულერის სახელმწიფო მუზეუმი, ოტერლო; "კარტოფილის მჭამელები", ვ. ვან გოგის ფონდი, ამსტერდამი). ვან გოგი ანვითარებდა XIX საუკუნის კრიტ. რეალიზმისა და განსაკუთრებით ჟ.


ხელმოწერა

ფ. მილეს შემოქმედებით ტრადიციებს.

1886 - 88 ვან გოგი ცხოვრობდა პარიზში, სადაც თავისი ძმის თეო ვან გოგის დახმარებით გაეცნო ქალაქის სამხატვრო ცხოვრებას (თეო ვან გოგი, პარიზის ერთ-ერთი გალერეის დირექტორი, მთელი ცხოვრების მანძილზე მორალურად და მატერიალურად ეხმარებოდა ძმას). პარიზში ვან გოგი კერძო სტუდიაში სრულყოფდა ხატვის ტექნიკას. ითვისებდა იმპრესიონისტების (ვ. მონე, ვ. პისარო, ა. სისლეი) პლენერულ ფერწერას და სწავლობდა იაპონურ გრაფიურას. დაუახლოვდა ა. ტულუზ-ლოტრეკსა და პ. გოგენს. ამ დროიდან ვან გოგის პალიტრაზე მუქი ფერები კაჟკაჟა და მოციმციმე ცისფერმა, ოქროსფერმა და წითელმა ტონებმა შეცვალა. ფუნჯის მონასმი უფრო თამამი და დინამიკური გახდა ("ხიდი სენაზე", 1887, ვ. ვან გოგის ფონდი, ამსტერდამი და სხვ.).

1888 ვან გოგი სამუშაოდ გაემგზავრა საფრანგეთის სამხრეთ პროვინციაში, არლში, სადაც ინტენსიურად და ნაყოფიერად მუშაობდა, ხატავდა ნატურიდან. არლის პერიოდის დასაწყისშივე ჩამოყალიბდა მისი მხატვრული

ენა - საკუთარი ემოციური განწყობილებით გადმოეცა ნატურა, მოვლენა, თუ საგანი. მხატვარი მიმართავდა ფერების კონტრასტულ შეხამებას და პასტოზურ მონასმებს. სამხრეთის მზით განათებულ მოციმციმე პეიზაჟებში ("მკა. ლაკროს ველი", "მეთევზეთა ნავები სენტ-მარიში", ორივე 1888, ვ. ვან გოგის ფონდი.



Vincent

ამსტერდამი) ჩანს ჰარმონიის, მშვენიერებისა და ბედნიერებისაკენ სწრაფვა; იმავე დროს ვან გოგი ქმნის სიმარტოვითა და უმწიობით დატანჯულ ადამიანთა ტრაგიკულ სახეებს ("ლამის კაფე", 1888, კერძო კოლექცია, ნიუ-იორკი). ფერის დინამიკა და გრძელი მონასმები ვან გოგის ტილოებზე დიდ

ცხოველმყოფელობას ანიჭებს არა მარტო ადამიანს და მის გარემომცველ ბუნებას ("წითელი ვენახები არლში", 1888, ა. პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმი, მოსკოვი), არამედ უსულო საგნებიც ("ვან გოგის საწოლი ოთახი არლში", 1888, ვ. ვან გოგის ფონდი, ამსტერდამი).

80-იანი წლების ბოლოს მხატვარი ფსიქიკურად დაავადდა, რასაც მოჰყვა კონფლიქტი მასთან სტუმრად ჩამოსულ გოგენტან. ვან გოგი იწვა ჯერ არლის, შემდეგ კი სენ-რემისა (1889 - 90) და ოვერ-სიურ-უაზის (1890, სადაც თავი მოიკლა) საავადმყოფოში. ვან გოგის ბოლო 2 წლის ნამუშევრებისათვის დამახასიათებელია ფერთა შეხამების, რიტმის და ფაქტურის უკიდურესად გამძაფრებული ექსპრესია, განწყობილებათა მკვეთრი ცვალებადობა. სასოწარკვეთილებას ("მრადისობის კარიბჭესთან", 1890, კრელერ-მიულერის სახელმწიფო მუზეუმი, ოტერლო) და აღზნებულ ვიზიონერულ იმპულსებს ("კიპარისებიანი და ვარსკვლავებიანი გზა", 1890, იქვე) ენაცვლება ნატურის მშვიდი და მთრთოლვარე შეგრძნება ("ოვერი წვიმის შემდეგ", 1890). სიცოცხლისა და ადამიანების სიყვარულით გამსჭვალულ ვან გოგის შემოქმედებაში ნათლად აისახა ევროპული კულტურის ისტორიის რთული და გარდამავალი პერიოდი. სულიერ ფასეულობათა მტკივნეულმა ძიებამ, რაც განსაცვიფრებელი სიწრფელით გამოვლინდა მხატვრის ცხოვრებასა და შემოქმედებაში (მ.შ. წერილებშიც), ტრაგიკულმა პათოსმა განსაზღვრა ვან გოგის ადგილი პოსტიმპრესიონიზმის ხელოვნებაში, რომლის ერთ-ერთი ფუძემდებელი თვითონ იყო.

ლიტერატურა

· ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4, გვ. 288, თბ., 1979 წელი.

გალერეა



კარტოფილის მჭამელები
(1885)



მზესუმზირები
(1888)



ლამის კაფე
(1888)



Brücke von Langlois (1888)



Sternennacht (1889)



Vincent van Gogh:
*Vincent's
Schlafzimmer*



Vincent van Gogh: *Feld unter
Sturmhimmel*



Vincent van Gogh: *Die
Kirche von*

Auvers

რესურსები ინტერნეტში

- მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმი (ნიუ-იორკი) [1]
- ვან გოგის ნამუშევართა გალერეა [2]
- "van+gogh") 62 digitized objects related to van Gogh [3] in The European Library

მინიშნებები

[1] <http://www.metmuseum.org/>

[2] <http://www.malarze.walhalla.pl/galeria.php5?art=17>

[3] [http://www.theeuropeanlibrary.org/portal/?lang=en&coll=collections:a0000&q=\(](http://www.theeuropeanlibrary.org/portal/?lang=en&coll=collections:a0000&q=()

პაბლო პიკასო

პაბლო რუის ი პიკასო (ესპ. Pablo Ruiz y Picasso; დ. 25 ოქტომბერი, 1881, მალაგა, ესპანეთი — გ. 8 აპრილი, 1973, მუჟენი, საფრანგეთი), ესპანელი მხატვარი და სკულპტორი. მე-20 საუკუნის ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფიგურა, ჟორჟ

ბრაკთან ერთად კუბიზმის დამფუძნებელი.



პაბლო პიკასო

ბიოგრაფია



„გერნიკა“

სწავლობდა მამასთან, ხ. რუისთან, ლა-კორუნიეს (1894-95), ბარსელონის (1895-იდან) და მადრიდის (1897-98)

ნატიფი ხელოვნების სკოლებში. 1904-იდან თითქმის მუდმივად პარიზში ცხოვრობდა. 1900-იან წლებში უკვე შეიქმნა თავისი პირველი მნიშვნელოვანი ე. წ. „ცისფერი პერიოდის“, 1901-04, და „ვარდისფერი პერიოდის“, 1905-06 ნამუშევრები. მათში არის გადმოცემული ლატაკთა და მიუსაფართა (ბრმები,

სახეთა სოციალურ-ფსიქოლოგიური დახასიათება „მოხუცი მათხოვარი ბიჭთან ერთად“ 1903; „გოგონა ბურთზე“ 1905, ორივე — ა. პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმშია მოსკოვში. 1907-იდან პაბლომ კავშირი გაწყვიტა მსოფლიო ფერწერის რეალისტურ ტრადიციებთან, თუმცა ამის შემდეგაც იგი ბევრჯერ დაუბრუნდა რეალიზმს და კლასიკურად შეუხამა იგი ავანგარდიზმს ყველაზე უკიდურეს ექსპერიმენტებს. პაბლომ ძალზედ მტკივნეულად განიცადა ბურჟუაზიული საზოგადოების კრიზისი; კაპიტალიზმის პირობებში მხატვარი ვერ ხედავდა ძალას, რომელიც წინ აღუდგებოდა ამ საშიშ სინამდვილეს. ამ პერიოდში პაბლომ ჟ. ბრაკთან ერთად შექმნა ახალი მიმდინარეობა — კუბიზმი. დანაწევრებული სიბრტყის კომბინაციებით მხატვარი უარყოფს რეალურ სინამდვილეს. იგი არღვევს საგნების გრძნობად-მხედველობით სახეებს, თუმცა კუბიზმის პერიოდის ზოგიერთი ნამუშევარი მოკლებული არ არის დახვეწილ

დეკორატიულობას და ემოციურ ჟღერადობას „ქალი მარაოთი“ 1909 ა. პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმში მოსკოვი.



„მშვიდობის მტრედი“

10-იანი წწ. შუა ხანაში პაბლოს შემოქმედებას ახასიათებდა ძიება ფაქტურისა სფეროში „აპერატივის ბოთლი“, კოლაჟი, 1913 და დეკორატიულობის „სამი მუსიკოსი“, 1921, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ნიუ-იორკი. კუბიზმის დამამთავრებელ პერიოდში პაბლოს შემოქმედებაში შეიჭრა ნეოკლასიციკლური ტენდენციები ე. წ. ნეოენგრიზმი, რომლითაც გამოხატულება პოვეს ისეთ ნამუშევრებში, როგორცაა „სამი ქალი წყაროსთან“, 1922, სამხატვრო მუზეუმი, ბალტიმორი და სხვა. ამ პერიოდის ნამუშევრებს ახასიათებს ზღაპრულ-იდილიური განწყობილება. 10-იანი წწ. დასასრულს მხატვარმა შექმნა თანამედროვე ადამიანთა რეალური სახეები, ნახატები

„მეთევზე“, ფანქარი, 1919, „გლეხები დასვენების დროს“,

კალამი, 1919. 20-30-იანი წწ. ნამუშევრები მკვეთრად განსხვავდება ამ ნაწარმოებისგან, ისინი სურეალიზმს უახლოვდებიან „ცეკვა“, 1925, კერძო კუთვნილება; „ქალი პლაჟზე“, 1930, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ნიუ-იორკი.

30-იანი წწ. II ნახევრიდან პაბლოს შემოქმედებაში თანდათან უფრო ჩანს თანამედროვე მოვლენათა გამოძახილი. მხატვრის რეაქციამ ძალმომრეობაზე, ხალხის ტკივილმა და ტანჯვამ მის სურათებში პროტესტის სახე მიიღო „მტირალი ქალი“, 1937, პენროუზის კორექცია, ლონდონი; „კატა და ჩიტი“, 1939, კერძო კუთვნილება. ამ დროიდან მკაფიოდ გამოიკვეთა მხატვრის საზოგადოებრივი პოზიცია, იგი სახალხო ფრონტის გამოჩენილი მოღვაწე გახდა საფრანგეთში, აქტიურად ებრძოდა ფაშიზმს ესპანეთში 1936-39. ამ პერიოდში შექმნილ სურათებში ჯერ კიდევ იგრძნობა სუბიექტივიზმი; ამ სუბიექტივიზმის დაძლევის გზით მხატვარმა შექმნა პროგრესული ნაწარმოებები: „გენერალ ფრანკოს ოცნება და სიყალბე“ აკვანტიტა, 1937. ფაშიზმის წინააღმდეგ მძაფრი პროტესტითაა გაუღენთილი პანო „გერნიკა“ 1937, პრადო, მადრიდი, სადაც ექსპრესია უმაღლეს მწვერვალზეა აყვანილი. 1944-იდან იყო საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წევრი. II მსოფლიო ომის წლებში 1939-45 პაბლო დარჩა ფაშისტების მიერ ოკუპირებულ საფრანგეთში და მონაწილეობდა წინააღმდეგობის მოძრაობაში. ომის შემდეგ მხატვარი მშვიდობისა და დემოკრატიისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში ჩადგა. მისი ჰუმანისტური მსოფლმხედველობა კარგად გამოჩნდა ნამუშევრებში: „მშვიდობის მტრედი“ ტუში, 1947, რომელიც მშვიდობისათვის ბრძოლის სიმბოლოდ იქცა; „ომი და მშვიდობა“ 1952, „მშვიდობის ტაძრის“ კაპელა ვალორისში. 40-იანი წწ. II ნახევრიდან პაბლოს შემოქმედება განსაკუთრებით მრავალმხრივია: მუშაობდა როგორც მოქანდაკე „კაცი კრავთ“, ბრინჯაო, 1944, სტატუა ვალორისში, კერამიკოსი დაახლოებით 2000 ნაკეთობა, გრაფიკოსი ნახატები, ოფორტები, ლინოგრაფიურები, ლითოგრაფიები და სხვა; შეიქმნა სერიები ნახატებისა და ლითოგრაფიების ციკლი „ადამიანური კომედია“, 1953-54 და სხვა. ისევ მიმართა საყვარელ თემებს ცირკი, კორიდა, ანტიკური მითოლოგია. დიდი ადგილი უჭირავს მხატვრის შემოქმედებაში ქალის პორტრეტს.

პაბლოს შემოქმედებამ დიდი გავლენა მოახდინა XX საუკუნის ხელოვნებაზე. მხატვრის მოღვაწეობა აღსავსეა წინააღმდეგობებით; მოწინავე საზოგადოებრივი მისწრაფებები და თანამედროვე ბურჟუაზიული ხელოვნება კრიზისი ერთდროულად აისახა მის შემოქმედებაში. მხატვარმა რთული გზა გაიარა. იგი მდამ გრძნობდა ეპოქის მტკივნეულ პრობლემებს, იბრძოდა პროგრესული იდეალებისათვის.

1950 პაბლოს აირჩიეს მშვიდობის მსოფლიო საბჭოში, არის მშვიდობის საერთაშორისო პრემიის 1950 და „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური 1962 პრემიის ლაურეატი.

ლიტერატურა: Дмитриев Н. А., Пикассо М., 1971. Зернов Б. А., Zervos Ch., Pablo Picasso. Catalogue general des oeuvres de 1895 a 1963, v. 1-23, P., 1932-71. პაბლო პიკასო ბიოგრაფია გალერეა მიმდინარეობა ბმულები დაამზადა

შემოქმედების პერიოდები

პიკასოს შრომებს ხშირად პერიოდების მიხედვით აჯგუფებენ. მიუხედავად იმისა, რომ მისი ბოლო პერიოდების სახელებზე ურთიერთშეთანხმება მიღწეული არ არის, მისი ყველაზე ერთხმად მიღებული პერიოდები იყო:

- ცისფერი პერიოდი (1901—1904), სევდიანი, ცისფერი შეფერილობის ნახატები, რომელზეც გავლენა მისმა ესპანეთში მოგზაურობამ და ახლო მეგობრის გარდაცვალებამ იქონია; ხშირად აღწერს აკრობატებს, არლეკინებს, მეძავეებს, მათხოვრებსა და ღარიბ მხატვრებს.
- ვარდისფერი პერიოდი (1905—1907), უფრო ხალისით სავსე სტილი ნარინჯისა და ვარდისფერი საღებავებით; აქაც მრავალი არლეკინი ფიგურირებს. ამ პერიოდში პარიზში ის ხვდება ფერნანდა ოლივიეს, რომელიც მხატვრებისა და სკულპტორებისთვის მოდელირებდა, და მრავალი ნახატი გამსჭვალულია ოსტატის მოდელისადმი თბილი დამოკიდებულებით, ფრანგულ მხატვრობასთან ახლო გაცნობასთან ერთად.
- აფრიკული პერიოდი (1908—1909), აფრიკული ხელოსნური ნაკეთობების ზეგავლენით; მნიშვნელოვანი ნიმუშია „Les Femmes d'Alger“ (ავინიონის დიაცები).
- ანალიტიკური კუბიზმი (1909—1912), ხატვის სტილი, რომელიც მან ბრავთან ერთად განავითარა მონოქრომული მოყავსფრო ფერების გამოყენებით, სადაც მათ ობიექტები დაშალეს და „ანალიზი“ ჩაუტარეს ფორმებს. პიკასოსა და ბრაქის ამ პერიოდის ნამუშევრები ერთმანეთს ზედმიწევნით ემსგავსება.
